ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი_____**ზურაბ ბარძიმაძე**

თანამდებობის დასახელება_____ ფრაქციის ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება- ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება -

- საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია

- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

- არჩევის წესი - - არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - # 37.05 ახალციხის მაჟორიტარული ოლქი

საანგარიშო პერიოდი_____ 2024 წლის 01.01 -დან 2024 წლის 21.10 მდე

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -----10 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება---8 (ერთი საპატიო 27.02.2024წ. შვებულება)

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა -2024წ.

- **საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -9 , ესწრებოდა -9 სხდომას;**
- **საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -2 , ესწრებოდა -2 სხდომას.**

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 2 სხდომა.

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა.

4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით განხორციელებული ცვლილებების (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ) თაობაზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ერთი პრიორიტეტის ფარგლებში, პროგრამებს შორის თანხების გადანაწილების შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება" - სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების მიმოხილვისა და შეფასების შესახებ;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის წესისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით განხორციელებული ცვლილებების თაობაზე;
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ.

5. მოქალაქეებთან შეხვედრის რაოდენობა 8 და
შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 158

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- სოფ. აწყურში შიდა, საუბნო, გზების შეკეთება-მოწყობა;
- სოფ. აწყურში სანიაღვრე არხების შეკეთება (4 ლოკაციაზე);
- სოფ. აწყურში მე-19 ჩიხში სამანქანო, გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია;

- სოფ. აწყურში საერთო საცხოვრებლის კორპუსების გადახურვა;
- სოფ. აწყურში მილხიდზე ტროტუარის მოწყობა (2 ლოკაციაზე);
- სოფ. აწყურში სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხაურების მოწყობა;
- სოფ. აწყურში სასმელი წყლის საკითხის მოგვარება;
- სოფ. ტყემლანაში შიდა, საუბნო, გზების შეკეთება-მოწყობა;
- სოფ. ტყემლანაში მოსაცდელი სივრცის მოწყობა;
- სოფ. ტყემლანაში ძველი კულტურის სახლის დემონტაჟი;
- სოფ. ტყემლანაში შიდა განათების მოწყობა;
- სოფ. ტყემლანაში სტადიონისა და ტრენაჟორების მოწყობა;
- სოფ. ტყემლანაში ცენტრალური მაღაზიის შეკეთება;
- სოფ. თისელში შიდა, საუბნო, გზების შეკეთება-მოწყობა;
- სოფლამდე მისასვლელი, ცენტრალური გზის დასრულება (სოფ. თისელი);
- სოფ. თისელში მუნიციპალური ტრანსპორტის მოგვარება;
- სოფ. თისელში შიდა განათების მოწყობა;
- სოფ. თისელში ტრენაჟორების მოწყობა.

6. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი საკითხები):

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან აქტიური თანამშრომლობით, განხორციელდა მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ:

- სოფ აწყურში მე-3, მე-10-ს I შესახვევი, 23-ე 26-ე, 27-ე და 28-ე ქუჩების მოხრეშვა;
- სოფ. აწყურში მე-6, მე-7 და მე-12 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით დაფარვა;
- სოფ. აწყურში მე-6 და მე-7 ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- სოფ. აწყურში სასმელი წყლის ნაწილობრივ მოწესრიგება;
- სოფ. ტყემლანაში მე-3 ქუჩიდან მე-7 ქუჩის ჩაყოლებაზე (დაახლოებით 50მ.) სავალი გზის მოხრეშვა;
- სოფ. ტყემლანაში სასაფლაოს გზის ნაწილობრივ მოხრეშვა;
- სოფ. თისელში შიდა გზის ბეტონის საფარის მოწყობა (მიმდინარეობს);
- სოფ. თისელში ცენტრალური გზის დაგება;
- სოფ. თისელში მუნიციპალური ტრანსპორტის მოგვარება;
- აწყურის, ტყემლანისა და თისელის სოფლებში გარე განათების საკითხის ტენდერის დასრულება.

7. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან და მასმედიასთან. ასევე ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.

შევსების თარიღი 25.10.24

წარდგენის თარიღი 30.10.24

ხელის მოწერა _____